SOLO

მშვიდი დაზღვევა

IMEDI L



მშვიდი დაზღვევა ექსკლუზიურად თქვენთვის, SOLO მომხმარებლისთვის, შექმნილი გამორჩეული სადაზღვევო პროდუქტია, რომელიც **7 კრიტიკული და ფართოდ გავრცელებული დაავადების** შემთხვევაში უზრუნველყოფს თქვენი და თქვენი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვას წინასწარ არჩეული სადაზღვევო ლიმიტის გათვალისწინებით;

სადაზღვევო ლიმიტის განკარგვა კი შესაძლებელია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თქვენი შეხედულებისამებრ.

გაზომვადი სიმშვიდე

მსოფლიო დაფარვა	პროპორციული ფასი	მარტივი ანგარიშსწორება	სადაზღვევო ლიმიტის საჭიროებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა

SOLO

7 კრიტიკული დაავადება



IMEDI L

ინსულტი – თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა, რომელსაც თან სდევს ტვინის ქსოვილის დაზიანება და მისი მმართველი ფუნქციის მოშლა. ინსულტი იწვევს პერმანენტულ ნევროლოგიურ დაზიანებებს (გამონაკლისს წარმოადგენს გარდამავალი იშემიური შეტევა).

გულის შეტევა (ინფარქტი) – გულის კუნთის ნაწილის კვდომა სისხლის არასათანადოდ მიწოდების შედეგად, რაც დადასტურებულია გულმკერდის არეში არსებული ტკივილის ეპიზოდით; ასევე ელექტროკარდიოგრამაზე ცვლილებებით ან / და ფერმენტების მომატებით.

მრავლობითი (გაფანტული) სკლეროზი – მრავლობითი (გაფანტული) სკლეროზი ცენტრალური ნერვული სისტემის ქრონიკული, არაპროგნოზირებადი დაავადებაა, რომელსაც უმეტესად პროგრესული მიმდინარეობა ახასიათებს. ამ დაავადების დროს ზიანდება თავის ტვინი, მხედველობის ნერვები და ზურგის ტვინი. მას ასევე ახასიათებს ქაოსურად გაფანტული დემიელინიზებული (ნერვული უჯრედების გადაგვარება) კერების წარმოქმნა. ეს ყველაფერი კი იწვევს ორგანიზმის შესაბამისი ფუნქციების მოშლას.

თირკმლის უკმარისობა – უკანასკნელი სტადიის თირკმლის უკმარისობა, რომლის დროსაც სახეზეა ორივე ან ერთი თირკმლის ქრონიკული, შეუქცევადი დისფუნქცია და საჭიროა რეგულარული თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია (დიალიზი) ან თირკმლის გადანერგვა.

კორონარული არტერიის შუნტირება – ღია გულზე ქირურგიის საჭიროება კონსულტანტის ან სპეციალისტი კარდიოლოგის რეკომენდაციით, ერთი ან მეტი კორონარული არტერიის შევიწროების ან ბლოკირების გამოსწორების მიზნით შუნტირება (გამონაკლისს წარმოადგენს ბალონური ანგიოპლასტიკა (სტენტირება), ლაზერული ან ნებისმიერი სხვა პროცედურები).

ძირითადი ორგანოს გადანერგვა – გულის, ღვიძლის, ფილტვის, პანკრეასის ან ძვლის ტვინის გადანერგვა.

სიმსივნე – ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ხასიათდება უკონტროლო ზრდით, ავთვისებიანი უჯრედების გავრცელებით ან / და ქსოვილის ინვაზიით (სიმსივნური უჯრედების შეჭრა ჯანმრთელ ქსოვილში). სადაზღვევო ლიმიტი ფარავს ლეიკემიის მკურნალობასაც, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი ტიპის სიმსივნეები:

- არაინვაზიური სიმსივნე;
- ლიმფომის ყველა ფორმა (ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის არსებობის შემთხვევაში);
- კაპოშის სარკომა – სისხლძარღვების ენდოთერული უჯრედებიდან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნე (ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის არსებობის შემთხვევაში);
- კანის ნებისმიერი სიმსივნე (ინვაზიური ავთვისებიანი მელანომის გარდა).

მომსახურებით სარგებლობისთვის საჭიროა:

- პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
- ცნობა დიაგნოზის დასმის თარიღისთვის იმის შესახებ, რომ დაზღვეული იყო SOLO მომხმარებელი;
- ჩატარებული დიაგნოსტიკური მომსახურების დეტალური სამედიცინო დოკუმენტაცია;
- ჩატარებული დიაგნოსტიკური მომსახურების კალკულაცია;
- დაზღვეულის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 64 წელს.

სადაზღვევო ლიმიტის მომსახურების ყოველწლიური ღირებულება $ (ეკვივალენტი ლარში)

SOLO

ასაკი (წელი)	წლიური პრემია 1 0 000 $ (ეკ ვ. ლარში)	წლიური პრემია 2 0 000 $ (ეკვ. ლარში)	წლიური პრემია 40 000 $ ეკვ. ლარში)
14 დღიდან 17 წლამდე	12.38 $	24.76 $	49.51 $
18-30	18.50 $	36.99 $	73.99 $
31-40	38.68 $	77.35 $	154.70 $
41-50	122.42 $	244.83 $	489.67 $
51-60	343.96 $	687.92 $	1375.85 $
61-64	504.98 $	1009.96 $	2019.93 $

IMEDI L

გამონაკლისი შემთხვევები

- დაზღვევამდე დიაგნოსტირებული მდგომარეობები;
- საომარ ზონაში მოგზაურობისას მომხდარი შემთხვევები (თუ ასეთი მოგზაურობა წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან);
- ომი (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა), ტერორიზმი, ძალადობა ან სამოქალაქო ომი;
- ბირთვული, ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღი;
- ბირთვული რეაქცია, ბირთვული რადიაცია ან / და რადიოაქტიური დაბინძურება;
- დაზღვეული პირის საომარ ქმედებებში მონაწილეობა;
- დაზღვეული პირის მიერ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება (თუ აღნიშნულის მიზეზს არ წამოადგენდა სხვისი სიცოცხლის გადარჩენა);
- დაზღვეული პირის კრიმინალურ აქტში მონაწილეობა;
- დაზღვეული პირის თვითმკვლელობა ან მცდელობა, განზრახ თვითდაზიანება;
- დაზღვევამდე არსებული ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV) და შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი (AIDS);
- გატაცებისას მიყენებული პირდაპირი ან არაპირდაპირი დაზიანებები / დარღვევები;
- დიაგნოსტირება 90 დღის გასვლის შემდგომ (მოცდის პერიოდი);
- დიაგნოზის დასმიდან 30 დღის შემდგომი პერიოდი (გადარჩენის პერიოდი).

S O L O

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ
დაუკავშირდეთ თქვენს **SOLO** ბანკირს

IMEDI L